UHY

Connect to possibility

შპს „იუ ეიჩ უაი“

2024 წლის გამჭვირვალობის ანგარიში

www.uhy.ge

შესავალი 1
ზოგადი ინფორმაცია ფირმის შესახებ 2
იუ ეიჩ ვაის ფუნდამენტური ღირებულებები 3
UHY International ქსელის წევრობა 4
ინფორმაცია UHY International ქსელის შესახებ 4
ფინანსური ინფორმაცია UHY International ქსელის შესახებ 4
გლობალური სტატისტიკა 5
ფინანსური მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით 5
ქსელის წევრი ფირმები 6
ფირმის მმართველობის სტრუქტურა 10
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა 11
შიდა ხარისხის მართვის სისტემის აღწერა 12
რისკების შეფასების პროცესი 13
მმართველობა და ხელმძღვანელობა 13
მენეჯმენტის განცხადება 14
დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პოლიტიკა 14
განგრძობითი განათლების პოლიტიკა 15
ინფორმაცია პარტნიორების ანაზღაურების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ 15
გარიგების პარტნიორებისა და სხვა საკვანძო პერსონალის როტაციის პოლიტიკა 16
ინფორმაცია ხარისხის მართვის სისტემის ბოლო მონიტორინგის შესახებ 16
სდპ-ების ჩამონათვალი, რომელთაც ფირმამ ჩაუტარა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში 17
ინფორმაცია აუდიტორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ 17
მარეგულირებული ორგანოს მიერ ფირმის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოცემული გადაწყვეტილებები სანქცირების თაობაზე 18

შესავალი

წარმოგიდგენთ გამჭვირვალობის ანგარიშს შპს „იუ ეიჩ ვაი“-ს (შემდგომში - „იუ ეიჩ ვაი“ „კომპანია“, „ფირმა“) საქმიანობის შესახებ, რომელიც მოიცავს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდს.

გამჭვირვალობის ანგარიში მომზადებული და გამოქვეყნებულია ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის №537/2014 რეგლამენტისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშეგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 16 მაისის ბრძანების შესაბამისად, რომლებიც ადგენენ სპეციფიკურ მოთხოვნებს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტთან დაკავშირებით.

ანგარიშის მიზანია წარმოვაჩინოთ ის ძირითადი სტანდარტები და ღირებულებები, რომლებითაც ფირმა ხელმძღვანელობს აუდიტორული მომსახურების გაწევისას.

ანგარიში დამტკიცებულია კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ 2025 წლის 17 ოქტომბერს.

ანგარიშში ასახული მონაცემების უტყუარობისთვის პასუხისმგებელია შპს „იუ ეიჩ ვაი“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზოგადი ინფორმაცია ფირმის შესახებ

შპს „იუ ეიჩ ვაი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406026447; სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-615768) 2010 წლიდან ახორციელებს საქმიანობას საქართველოს საკონსულტაციო ბაზარზე.

2018 წლიდან, კომპანია არის დამოუკიდებელ აუდიტორთა გლობალური ქსელის - UHY International-ის წევრი.

2021 წლის დასაწყისში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩატარებული ხარისხის სისტემის მონიტორინგის შედეგად, იუ ეიჩ ვაი ფლობს საზოგადოებრი დაინტერესების პირის (სდპ) სტატუსის მქონე სუბიექტებისთვის აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას და აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილს იკავებს საქართველოს იმ 15 აუდიტორულ კომპანიას შორის, რომლებიც ფლობენ ასეთ უფლებამოსილებას მოცემული დოკუმენტის შედგენის თარიღისათვის.

იუ ეიჩ ვაი როგორც ქართველ, ისე უცხოელ ფიზიკურ დ იურიდიულ პირებს, განურჩევლად მათი ადგილსამყოფელისა, სთავაზობს ფინანსური სერვისების ფართო სპექტრს, როგორიცაა: ფინანსური აუდიტი და სხვა მარწმუნებელი თუ არამარწმუნებელი მომსახურებები, საგადასახადო აუდიტი და კონსულტაცია, ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურება და ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობასთან თავსებადობის უზრუნველყოფა, საშემფასებო და სხვა საკონსულტაციო სერვისები.

კომპანიის ძირითადი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი მდებარეობს საქართველოში, ქალაქ თბილისში, მისამართზე: მერაბ კოსტავას ქ. N47, მე-3 სართული, მე-9 ოფისი.

იუ ეიჩ ვაის ფუნდამენტური ღირებულებები

კომპანიის დაარსების დღიდან, მისი მენეჯმენტი და ყველა თანამშრომელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს იმ ძირითადი პრინციპებით, რომლებიც აღიარებულია პროფესიული ეთიკის კოდექსით (IESBA Code) და საერთაშორისო სტანდარტებით, რათა ეფექტურად მართონ რისკები და უზრუნველყონ ხარისხიანი მომსახურების გაწევა.

- ობიექტურობა და კეთილსინდისიერება
- კონფიდენციალურობა და პროფესიული ეთიკა
- მაღალი პროფესიული კომპეტენცია
- უწყვეტი პროფესიული განვითარება
- გულისხმიერება და სოციალური პასუხისმგებლობა

UHY International ქსელის წევრობა

იუ ეიჩ ვაი არის Urbach Hacker Young International Limited-ის („UHY International“) სრულუფლებიანი წევრი, რომელიც წარმოადგენს ინგლისის კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ კორპორაციას, სათავო ოფისით ლონდონში.

ინფორმაცია UHY International ქსელის შესახებ

დაარსებული 1986 წელს, UHY International წარმოადგენს სამართლებრივად დამოუკიდებელი აუდიტორული, საბუღალტრო, საგადასახადო და საკონსულტაციო ფირმების ქსელს, რომელიც წარმოდგენილია 95 ქვეყანაში, 10 000-ზე მეტი პროფესიონალით.

UHY International არის IFAC Forum of Firms-ის წევრი, რომელიც არის გლობალური ორგანიზაცია, აერთიანებს მნიშვნელოვან აუდიტორულ, ბუღალტრულ და საკონსულტაციო კომპანიებს და მონაწილეობს საერთაშორისო სტანდარტების შექმნაში.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია UHY International-ის ვებ-საიტზე: www.uhy.com

ფინანსური ინფორმაცია UHY International ქსელის შესახებ

ქსელის ფინანსური მონაცემები აისახება ყოველწლიურ მონაცემთა დეკლარაციის (ADR) ანგარიშში. ინდივიდუალური ფირმები ფინანსურ ინფორმაციას თავიანთ ადგილობრივ ვალუტაში ანგარიშობენ, რომლებიც შემდგომ კონვერტირდება აშშ დოლარში იმ გაცვლითი კურსების გათვალისწინებით, რომლებიც მოწოდებულია International Accounting Bulletin-ის (IAB) მიერ.

გლობალური სტატისტიკა

უახლესი ADR ანგარიშის საფუძველზე, UHY გლობალური ქსელის სტატისტიკა ასეთია: გლობალური ანაზღაურების განაწილება სერვისების მიხედვით

მომსახურება	აშშ დოლარი	დამრგვალებული	%
აუდიტი და მარწმუნებელი	365,014,758	365	42.0%
ბუღალტრული	165,125,724	165.1	19.0%
საგადასახადო	152,089,482	152.1	17.5%
ჯამური საკონსულტაციო მომსახურება	152,089,482	152.1	17.5%
მმართველობითი საკონსუტაციო მომსახურება	60,835,793	60.8	7.0%
კორპორაციული ფინანსები	17,381,655	17.4	2.0%
კორპორატიული რეაბილიტაცია	4,345,414	4.4	0.5%
სამართლებრივი დავების მხარდაჭერა	4,345,414	4.3	0.5%
სხვა საკონსულტაციო მომსახურება	65,181,207	65.2	7.5%
სხვა მომსახურებები	34,763,310	34.8	4.0%
სულ ჯამი	**869,082,757**	**869.1**	**100%**

ფინანსური მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით:

2024 წლის რეგიონული ეჯამება	ქვეყნები	ოფისები	პარტნიორები	პროფესიული პერსონალი	ადმინისტრაციული პერსონალი	სულ პერსონალი	ბრუნვა (აშშ დოლარი)
აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი	21	70	248	2782	291	3321	102,308,304
ევროპა	32	135	294	2247	372	2913	295,021,610
ლათინ. ამერიკა	19	32	74	754	124	952	25,364,302
ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა	21	43	113	695	225	1033	44,407,942
ჩრდილოეთ ამერიკა	2	38	196	1234	374	1804	401,980,599
სულ ჯამი	**95**	**318**	**925**	**7712**	**1386**	**10023**	**869,082,757**

ქსელის წევრი ფირმები

ანგარიშის მომზადების მომენტისათვის, ქსელი აერთიანებს 126 წევრ აუდიტორული ფირმას:

ფირმა	ქვეყანა
UHY Shafiq Umar Daraz & Co Chartered Accountants	ავღანეთი
UHY Elite sh.p.k	ალბანეთი
UHY A Paredes e Associados-Angola Auditores e Consultores, SA	ანგოლა
UHY Macho & Asociados	არგენტინა
UHY Haines Norton (Adelaide)	ავსტრალია
UHY Haines Norton (Brisbane)	ავსტრალია
UHY Haines Norton (Sydney)	ავსტრალია
UHY Sothertons Adelaide	ავსტრალია
UHY-Tax Wirtschaftstreuhand GmbH	ავსტრია
UHY Audit LLC	აზერბაიჯანი
UHY El Sayed El Ayouty & Co, Certified Public Accountants	ბაჰრეინი
UHY Syful Shamsul Alam & Co.	ბანგლადეში
UHY-CDP Partners	ბელგია
Berthin Amengual Y Asociados Srl	ბოლივია
UHY Revident d.o.o. Mostar	ბოსნია
UHY Bendoraytes & Cia – Auditores Independentes	ბრაზილია
UHY East Wing Audit & Consulting Co. Ltd.	კამბოჯა
Forbes Andersen LLP	კანადა
UHY Victor LLP	კანადა
Grewal Guyatt LLP	კანადა
UHY Guiñazú & Asociados SpA.	ჩილე
Zhonghua Certified Public Accountants LLP	ჩინეთი
UHY Consultores S.A.S.	კოლუმბია
UHY Auditores y Consultores, S.A.	კოსტა რიკა
UHY RUDAN d.o.o.	ხორვატია
UHY HB EKONOM d.o.o.	ხორვატია

ფირმა	ქვეყანა
UHY Antonis Kassapis Limited	კვიპროსი
AUDITOR, spol. s r.o.	ჩეხეთის რესპუბლიკა
Buus Jenson	დანია
UHY Calderon Gonzalez & Asociados	დომინიკის რესპუბლიკა
UHY Assurance & Services Cia. Ltda.	ეკვადორი
UHY United For Auditing, Tax, Advisory & Financial Services	ეგვიპტე
UHY Waled Mounir and Muhammad Arafa	ეგვიპტე
UHY Asesores Y Consultores, S.A De CV	ელ სალვადორი
UHY GVA	საფრანგეთი
UHY LLC	საქართველო
UHY Wahlen & Mannsky	გერმანია
Dr. Langenmayr GmbH Wirtschaftsprüfungsgesellschaft	გერმანია
Clostermann & Jasper Partnerschaft mbB	გერმანია
UHY Lauer & Dr. Peters KG	გერმანია
UHY Godwinson	განა
UHY Voscon Chartered Accountants	განა
UHY Axon Certified Auditors S.A.	საბერძნეთი
UHY Pérez & Co	გვატემალა
UHY Auditores y Consultores, S.A.	ჰონდურასი
Tai Kong CPA Limited	ჰონგ კონგი
UHY Prime HK CPA Ltd	ჰონგ კონგი
Bergmann Accounting & Auditing	უნგრეთი
Lodha & Co	ინდოეთი
KAP Hananta Budianto & Rekan	ინდონეზია
UHY Farrelly Dawe White Limited	ირლანდია
UHY Crossleys LLC	მენის კუნძული
UHY Shtainmetz-Aminoach & Co CPAs	ისრაელი
UHY Audinet Srl	იტალია
UHY Tokyo & Co.	იაპონია
UHY Arab Auditors	იორდანია
UHY Kenya	კენია
UHY Dah-Yul Certified Public Accountants	კორეა
Pillars Advisory	ქუვეითი
UHY Andy Bryan	ლიბანი
UHY TAC	მალაიზია
UHY	მალაიზია
UHY Pace, Galea Musù & Co	მალტა

ფირმა	ქვეყანა
UHY Glassman Esquivel y Cía S.C.	მექსიკა
Growth Finance Audit LLC	მონღოლეთი
UHY Ben Mokhtar & Co	მაროკო
UHY Auditores e Contabilistas Certificados, Limitada	მოზამბიკი
UHY Suvod Associates Chartered Accountants	ნეპალი
Govers Accountants/Consultants	ნიდერლანდები
UHY Haines Norton (Auckland) Ltd	ახალი ზელანდია
UHY Auditores y Consultores S.A	ნიკარაგუა
UHY Benson	ნიგერია
UHY Maaji & Co	ნიგერია
Agder-Team Revisjon AS	ნორვეგია
Myrdahl og Sveen As	ნორვეგია
Revisorgruppen Agder AS	ნორვეგია
Revisorgruppen Akershus AS	ნორვეგია
Revisorgruppen Åndalsnes AS	ნორვეგია
Revisorgruppen Drammen AS	ნორვეგია
Revisorgruppen Fjordane AS	ნორვეგია
Revisorgruppen Hordaland AS	ნორვეგია
UHY Hassan Naeem & Co	პაკისტანი
UHY Botello & Marquez	პანამა
UHY Urbano Ventocilla & Asociados S.C.	პერუ
UHY Blancas Sandoval & Asociados, SAC	პერუ
UHY M.L. Aguirre & Co. CPAs	ფილიპინები
UHY ECA Group	პოლონეთი
UHY Oliveira, Branco & Associados, SROC, LDA	პორტუგალია
UHY Del Valle & Nieves PSC	პუერტო რიკო
UHY Ammo & Co	ყატარი
UHY Audit CD S.r.l.	რუმინეთი
UHY Walcott & Associates	სანტა ლუსია
UHY Al Mousa Certified Public Accountants and Consultants	საუდის არაბეთი
UHY REVIZIJA d.o.o.	სერბეთი
UHY Lee Seng Chan & Co	სინგაპური
UHY d.o.o.	სლოვენია
UHY Hellmann (SA)	სამხრეთ აფრიკა
Auditores Asociados	ესპანეთი
UHY Fay & Co	ესპანეთი
UHY Centra Management Associates	შრი-ლანკა
Revisorerna Syd	შვედეთი

ფირმა	ქვეყანა
Winthers Revisionsbyrå AB	შვედეთი
Balmer-Etienne AG	შვეიცარია
UHY L&C Company, CPAs	ტაივანი
UHY Saman Audit & Corporate Services Co. Ltd.	ტაილანდი
UHY CNBA	ტუნისი
UHY UZMAN Sworn in CPA and Independent Auditing Inc.	თურქეთი
UHY Thakkar & Associates, Certified Public Accountants	უგანდა
UHY Prostir Ltd	უკრაინა
UHY James Chartered Accountants	არაბთა გაერთიანებული საამიროები
UHY Hacker Young	გაერთიანებული სამეფო
UHY Hacker Young (Birmingham) LLP	გაერთიანებული სამეფო
UHY Hacker Young (Chester)	გაერთიანებული სამეფო
UHY Hacker Young (Newport)	გაერთიანებული სამეფო
UHY Hacker Young (S.E.)	გაერთიანებული სამეფო
UHY Hacker Young (Sheffield)	გაერთიანებული სამეფო
UHY Hacker Young Fitch	გაერთიანებული სამეფო
UHY Kent LLP	გაერთიანებული სამეფო
UHY BPR Heaton	გაერთიანებული სამეფო
UHY Calvert Smith	გაერთიანებული სამეფო
UHY Ross Brooke	გაერთიანებული სამეფო
UHY LLP (UHY Advisors)	შეერთებული შტატები
UHY Gubba & Asociados	ურუგვაი
UHY Durán & Asociados	ვენესუელა
UHY Auditing & Consulting Co Ltd	ვიეტნამი

ფირმის მმართველობის სტრუქტურა

იუ ეიჩ ვაი წარმოადგენს 2010 წლის 13 მარტს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაარსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ანუ არის კაპიტალური ტიპის საზოგადოება, რომლიც კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელია საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონებით.

2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დირექტორთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

გენადი უბირია - აღმასრულებელი დირექტორი / რისკების მართვის პარტნიორი

თინათინ დავითაია - დირექტორი / მმართველი პარტნიორი

კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

გენადი უბირია - 49%

თინათინ დავითაია - 46%

მარიამ არაქელაშვილი - 5%

კომპანიაში ფუნქციონირებს დეპარტამენტები, რომლებიც დაყოფილნი არიან მომსახურების სახეების მიხედვით:

- ფინანსური აუდიტის დეპარტამენტი
- საგადასახადო დეპარტამენტი
- ბუღალტერიის დეპარტამენტი
- საშემფასებლო დეპარტამენტი
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი

Audit | Tax | Accounting | Valuation

წარმოგიდგენთ კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურას



შიდა ხარისხის მართვის სისტემის აღწერა

კომპანიაში დანერგილია ხარისხის მართვის პოლიტიკა და პროცედურები(ხარისხის მართვის სისტემა) რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტს (ხმსს 1, ხმსს 2) ეთიკურ ღირებულებებს, რომლებსაც ადგენს პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code) და ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ხარისხის მართვის ძირითადი ელემენტებია:

- რისკების შეფასების პროცესი
- მმართველობა და ხელმძღვანელობა
- სათანადო ეთიკური მოთხოვნები
- დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება / დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება
- გარიგების შესრულება
- რესურსები
- ინფორმაცია და კომუნიკაცია
- მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი

რისკების შეფასების პროცესი

ფირმა ხარისხის მართვის სისტემის კომპონენტების შექმნის, დანერგვის და ფუნქციონირებისთვის იყენებს რისკზე დაფუძნებულ მიდგომებს, რაც გულისხმობს:

ა) როგორც ხმსს 1-ით გათვალისწინებული, ისე დამატებითი ხარისხის მიზნების განსაზღვრას;

ბ) ხარისხის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენას და შეფასებას;

გ) ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი საპასუხო ზომების განსაზღვრას და მათ გატარებას.

ხარისხის მიზნები, რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების კრიტერიუმები და მათ მისაღებ დონემდე დასაყვანი დამცავი ზომები დადგენილია ასევე იუ იეჩ ვაის რისკებისა და ხარისხის მართვის სახელმძღვანელოთი, რომელიც აღნიშნულ საკითხებთან ერთად, მოიცავს რისკებისა და ხარისხის მართვის ზოგად პოლიტიკასა და პროცედურებს ფირმის დონეზე.

პირები, რომელთაც საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრიათ ხარისხის მართვის სისტემაზე, ფირმის სახელით წელიწადში ერთხელ მაინც აფასებენ ხარისხის მართვის სისტემას, გამოაქვთ დასკვნები მისი ეფექტური ფუნქციონირების თაობაზე და შესაბამის თანამშრომლებთან ერთად, ადგენენ შემდეგომ ნაბიჯებს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მმართველობა და ხელმძღვანელობა

კომპანია ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკისა და პროცედურების დამკვიდრებას, რომლებიც ხელმძღვანელობას აკისრებენ საბოლოო პასუხისმგებლობას ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე. კომპანიის დირექტორთა საბჭო, როგორც უმაღლესი მმართველობითი ორგანო, რომლის ერთ-ერთი წევრიც არის რისკების მართვის პარტნიორი, იღებს გადაწყვეტილებებს გარიგების პარტნიორებისა და ასოცირებული პარტნიორების დანიშვნაზე, კომპანიის ბიზნეს სტრატეგიებთან, საოპერაციო საქმიანობისთან და ეთიკური საკითხებთან დაკავშირებით. საბჭო ამტკიცებს რისკების მართვის პოლიტიკას და ზედამხედველობს მის ეფექტიან ფუნქციონირებას, ხოლო კონკრეტული ამოცანები გადანაწილებულია გამოცდილ თანამშრომლებზე სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით.

მენეჯმენტის განცხადება

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ შიდა ხარისხის მართვის სისტემა სრულად შეესაბამება როგორც ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებს, ისე ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებს და ეფექტურად ფუნქციონირებდა 2024 წლის მთელი პერიოდის განმავლობაში.

დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პოლიტიკა

ფირმაში ფუნქციონირებს პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც გათვალისიწინებულია იუ იეჩ ვაის შიდა რისკებისა და ხარისხის მართვის სახელმძღვანელოთი და იძლევიან იმის გონივრულ გარანტიას, რომ ხარისხის მართვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით და პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ეთიკური მოთხოვნები სათანადოდ სრულდება.

ფირმის ყველა თანამშრომელი, წელიწადში ერთხელ ავსებს დამოუკიდებლობის დეკლარაციას.

თითოეულ როგორც მარწმუნებელ, ისე არამარწმუნებელ გარიგებასთან დაკავშირებით, ხდება ინდივიდუალური დამოუკიდებლობის შესახებ განაცხადის გაკეთება უშუალოდ გარიგების გუნდის წევრების მხრიდან მანამ, სანამ ისინი შეუდგებიან გარიგების შესრულების პროცესს.

ცალკე პროცედურა ეძღვნება პოტენციურ კლიენტთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დადგენის საკითხს.

რისკებისა და ხარისხის მართვის სახელმძღვანელოს გარდა, ფირმას შემუშავებული აქვს „ქცევის კოდექსი“ (Code of Conduct) . იგი განსაზღვრავს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უნდა იქნას მიღებული და მოქმედებებს, რომლებიც იქნას განხორციელებული იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება შიდა და გარე საჩივრებს, დისციპლინურ პროცედურებს თანამშრომელთა ან პარტნიორთა მიმართ ეთიკურ მოთხოვნებთან ან/და ფირმის შიდა კორპორაციულ კულტურასთან შეუსაბამობის შემთხვევაში. ფირმა ყველა თანამშრომლისგან პროფესიული ქცევის უმაღლეს სტანდარტს მოითხოვს და ნებისმიერი ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობას განიხილავს როგორც შესაძლო დისციპლინურ დარღვევას.

კომპანია ახორციელებს დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვასთან დაკავშირებულ მონიტორინგს როგორც თითოეული გარიგებისთვის, ისე ფირმის დონეზე, ყოველწლიური ხარისხის მართვის სისტემის შეფასების ფარგლებში.

განგრძობითი განათლების პოლიტიკა

გარიგების პარტნიორების და საკვანძო თანამშრომლების პროფესიული კვალიფიკაციის მუდმივი ზრდა ფირმისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. განგრძობითი განათლების პოლიტიკა განმტკიცებულია რისკებისა და ხარისხის მართვის სახელმძღვანელოს დებულებებით და კომპანიის „სწავლის მხარდამჭერი პოლიტიკით".

აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, იუ ეიჩ ვაი უზრუნველყოფს თანამშრომელთათვის ACCA და სხვა რელევანტური პროფესიული კურსების, გამოცდებისა და საწევრო გადასახადების დაფინანსებას.

გარიგების პარტნიორები ვალდებულნი არიან ყოველწლიურად გაიარონ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (GFPAA) მიერ ორგანიზებული განგრძნობითი განათლების სპეციალური პროგრამა. სალექციო კურსებზე დასწრების მონიტორინგს ახორციელებს ფირმის რისკების მართვის სპეციალისტი.

ასევე, კომპანიის შედარებით გამოცდილი კადრების მიერ გარკვეული პერიოდულობით ხდება თანამშრომლების დატრენინგება აქტუალურ და კომპლექსურ პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით.

თანამშრომლებს აგრეთვე საშუალება აქვთ დაესწრონ UHY International-ის შიდა პორტალზე განთავსებულ მრავალფეროვან ვებინარებს.

ინფორმაცია პარტნიორების ანაზღაურების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ

ხელმომწერი პარტნიორების ფიქსირებული ანაზღაურება განისაზღვრება მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებით.

პარტნიორი, რომელიც ამავდროულად არის კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი, ფიქსირებულ ანაზღაურებასთან ერთად, უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი დივიდენდი, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

გარიგების პარტნიორებისა და სხვა საკვანძო პერსონალის როტაციის პოლიტიკა

ფირმის გარიგების პარტნიორებისა და სხვა საკვანძო პერსონალის როტაციის პოლიტიკა საზოგადოებრივად დაინტერესებულ პირთა მიმართ, სრულად შეესაბამება ევროპის კავშირისა და ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება შეიძლება დაიდოს არაუმეტეს 10 წლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ფირმასთან ხელახალი გარიგება შეიძლება დაიდოს არანაკლებ 4 წლის გასვლის შემდგომ.

ფირმა უზრუნველყოს გარიგების პარტნიორისა და სხვა საკვანძო პერსონალის შიდა როტაციას არაუმეტეს 7 წლის გასვლის შემდგომ თითოეული სდპ-ის მიმართ, რომელსაც ის ემსახურება.

როდესაც აუდიტის კლიენტი მოგვიანებით შეიძენს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსს, როტაციის დროის განსაზღვრისას იმ პერიოდის გათვალისწინებაც ხდება, რომლის განმავლობაშიც გარიგების პარტნიორმა და საკვანძო პერსონალმა აუდიტის კლიენტთან იმუშავა მისთვის საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის მინიჭებამდე.

მოცემული პოლიტიკის მიზანია, უზრუნველყოს აუდიტორის დამოუკიდებლობა და მინიმუმამდე დაიყვანოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის რისკები.

ინფორმაცია ხარისხის მართვის სისტემის ბოლო მონიტორინგის შესახებ

2024 წლის 29 აპრილს, მარეგულირებელმა ორგანომ - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა, დაასრულა ფირმის დონეზე ხარისხის სისტემის მართვის გეგმიური მონიტორინგი და გამოსცა საბოლოო შედეგების ამსახველი ანგარიში.

შედეგების მიხედვით, ფირმამ არათუ შეინარჩუნა საზოგადოებირივი დაინტერესების პირისთვის აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, არამედ პირველი კატეგორიის საწარმოს მომსახურებასთან დაკავშირებული შეზღუდვაც მოეხსნა და კიდევ უფრო განიმტკიცა ადგილი საქართველოს 15 აუდიტორულ კომპანიას შორის.

სდპ-ების ჩამონათვალი, რომელთაც ფირმამ ჩაუტარა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში:

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ (ს/ნ 404642892)

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (ს/ნ 202906427)
(საქართველოს ეროვნული ბანკის და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად)

ინფორმაცია აუდიტორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ

2024 წლის განმავლობაში, ფირმის მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებული შემოსავლები ჯამურად შეადგენს 626,879 ლარს. მაშ შორის:

- ფირმის მიერ საზოგადოებრივად დაინტერესებული პირების, ასევე ისეთ საწარმოთა ჯგუფში შემავალი სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებული შემოსავალი, რომელთა მშობელი საწარო არის სდპ, შეადგენს 121,285 ლარს;
- სდპ-ს გარდა სხვა პირთა ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან ფირმის მიერ მიღებული შემოსავლები შეადგენს 505,594 ლარს;
- სხვა მარწმუნებელი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 98,879 ლარს.

2024 წლის განმავლობაში, ფირმის მიერ არააუდიტორული მომსახურების გაწევით მიღებული სხვა შემოსავლები შეადგენს 893,698 ლარს.

აუდიტირებული სუბიექტისათვის, მისი მშობელი საწარმოსათვის ან მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმოსათვის, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის 14_1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დაშვებული, არააუდიტორული მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები 2024 წელს ფირმას არ უფიქსირდება.

მარეგულირებული ორგანოს მიერ ფირმის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოცემული გადაწყვეტილებები სანქცირების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, თორნიკე ძაგნიძის 2024 წლის 24 აპრილის ბრძანების თანახმად, ფირმას დაეკისრა ერთჯერადი ჯარიმა 3,000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ფარგლებში, ფირმამ სამსახურს წარუდგინა ინფორმაცია გაფორმებული გარიგებების შესახებ. ინფორმაციის დიდი მოცულობიდან და დროის სიმცირიდან გამომდინარე, ფირმას გამორჩა ორი არააუდიტორული გარიგების მითითება, რითიც დაირღვა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 2 ივლისის N6-9 განმტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის ვალდებულებასთან დაკავშირებით.